პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივნისი, კვირა, 1985 წ.
№ 124 (8935) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იმნაიშვილის ხა[illegible] მუზეუმში ცხადია, [illegible] ზის ჯილდოები ჭარბობს, თუმცა მისი ძმ[illegible] ზიც (მარცხნივ) [illegible] ოსტატია და [illegible] ურიგოდ არ ისროდა. ახლა თამაზ იმნაიშვილს ორი მწვრთნელი ჰყავს — საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ზურაბ მაჩხანელს წარდგენა არც ჭირდება, მსუბუქი მრეწველობის ინჟინერს, კამვოლური დართვის ფაბრიკის უბნის უფროსს თენგიზ იმნაიშვილს კი ძმამ იმედი გაუმართლა. ევროპის ჩემპიონის სახელის მოპოვება ხუმრობა საქმე როდია.

იხ. გვ.2 გვ.

30 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა!

თვით დედამიწას შეაბარბაცებს...

ლამაზი, ჭკვიანი, მებრძოლი, პირდაპირი, სამართლიანი, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი — ამ ეპითეტებს იშველიებენ, როცა სიტყვა ახალგაზრდობაზე ჩამოვარდება. ჩვენი ჭაბუკები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას — თავიანთი ცხოვრების წესით, აზრიანი შრომით ამართლებენ იმ დიდ ნდობას, მათ რომ გამოუცხადეს.
რამდენი კარგი საქმე წამოუწყია, რამდენი სახახელო გამარჯვება უზეიმია. ბოლოს და ბოლოს, ყველა მაღალმხატვრული ქმნილება ხომ სწორედ სიჭაბუკეში შეუქმნია შემოქმედს. დალაშქრული რეკორდებიც გავიხსენოთ. ამიტომაც ამბობენ ალბათ, სპორტი და ახალგაზრდობა სინონიმებიაო.

ახალგაზრდობა ფიქრობს, აშენებს, ქმნის, ახალგაზრდობა თვით ცხოვრების შუაგულშია. ქალაქები და ხიდები, სტადიონები და სახახლეები, სკოლები და პარკები — რა ჩამოთვლის მათ კეთილ საქმეებს.
ქართული სპორტის ავანგარდში ყოველთვის ღირსეულნი იდგნენ. მათ ახლაც ამაყად უპყრავთ ჩვენი სახელოვანი ტრადიციების სიმბოლო — ქართული სპორტის დროშა. ახლა ენთუზიასტებს არ იკითხავთ? მთასა და ბარში, სოფლად თუ ქალაქად ხელდაკაპიწებული შრომობენ ისინი — აშენებენ და აწყობენ სპორტულ ბაზებს — სტადიონებს, მოედნებს, კორტებს, აუზებს... რამდენი ახალგაზრდა მწვრთნელი საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს ნორჩ სპორტსმენებს, გამაჯანსაღებელ ჯგუფებს...
ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების დიდი წვლილია ხობის, თერჯოლის, ვანის, ტყიბულის, ლაგოდეხის, თელავის, სიღნაღის სპორტული ბაზების მშენებლობაში.
მარტო ხვანი ახალგაზრდების თაოსნობა რად ღირს — მესტიაში, მულახში, ლატალსა და იფარში ააშენეს ყველა ქართველისთვის სამაგალითო და საფიცარი ერისკაცების — მიხეილ ხერგიანის, გურამ თიკანაძის, ილია გაბლიანისა და მირზა გელოვანის სახელობის სპორტული კომპლექსები.
წინ უფრო მაღალი მწვერვალებია. მათ დასალაშქრავად მოდის ახალგაზრდობა, რომელიც „მხრებით თვით დედამიწას შეაბარბაცებს".

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში

ჯერჯერობით მეოთხე ადგილის მიღწევაა

მრავალი წელია წყალში მხტომელთა სხვადასხვა მასშტაბის ასპარეზობებს ვესწრები, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომ ორ სპორტსმენს ერთნაირი მაჩვენებლები ჰქონდეს. ამ მხრივ საინტერესო გამოდგა კოშკიდან მხტომელთა წინასწარი შეჯიბრება საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით: გუშინ დილით, ნახტომების მერვე სერიის დასასრულს, ასპარეზობის ლიდერებს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ვიაჩესლავ ტრომშინსა და გენადი სტაროდუბცევს ერთნაირი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ.

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში ვაჟთა წინასწარი შეჯიბრება იმდენად მიმზიდველად წარიმართა, რომ ნებისმიერ ფინალს დაამშვენებდა. აქ მოვლენები მართლაც რომ კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო თბილისელი სპორტსმენების გიორგი ჩოგოვაძისა და რუსლან კორნევის გამოსვლა იყო.

ჩოგოვაძეს სავალდებულო ხუთი ნახტომის შემდეგ რვა უძლიერესს შორის ვერ ვხედავდით, მაგრამ მეშვიდე ნახტომის შემდეგ მან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა, მერე — მესამეზე, ხოლო ბოლო ორი ნახტომით მეორე ადგილზე დამკვიდრდა, პირველი საგზური კი გენადი სტაროდუბცევმა დაისაკუთრა. მათს გარდა ფინალში გავიდნენ: ალექსანდრე გლადჩენკო, სერგეი კუბრევიჩი (ორივე — ბელორუსია), ტრომშინი, ვლადიმერ ალეინიკი, ანდრეი კვოჩინსკი (ორივე — ბელორუსია) და ევგენი სიროტკინი (მოსკოვი).

საინტერესოა, რომ ფინალისტთა შორის ყველაზე ახალგაზრდა

ალექსეი კოვალევი

იხ. გვ.4 გვ.

ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშები

საშუალო ასაკში უკეთ გამოდიან

ლენინგრადი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა, რომელშიც, როგორც ცნობილია, ცალცალკე ასპარეზობენ უფროსი და საშუალო ასაკის გოგონები და ჭაბუკები. ქვეჯგუფში გამართულ წინასწარ შეხვედრებში კარგად ითამაშა ჩვენი რესპუბლიკის საშუალო ასაკის ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდმა. მათ ჯერ ლიტველი თანატოლები დაამარცხეს — 3:1, შემდეგ მშრალი ანგარიშით — 3:0 მოუგეს თურქმენეთის გუნდს და ფინალში ასპარეზობის უფლებაც გაინაღდეს. იმავე ასაკის გოგონებმა პირველ შეხვედრაში სძლიეს ესტონელებს — 3:0, მეორე მატჩი კი ასეთივე ანგარიშით წააგეს უკრაინელებთან.
სუსტად ითამაშეს უფროსი ასაკის ჭაბუკებმა და გოგონებმა. ჭაბუკებმა მოლდაველებთან წააგეს შეხვედრა — 1:5, გოგონები კი ერთნაირი ანგარიშით — 3:5 დამარცხდნენ სომხეთისა და მოლდავეთის ნაკრებ კოლექტივებთან. შეჯიბრება გრძელდება.

წარმატების მოლოდინში

კრივის ჩვენს გულშემატკივრებს სიურპრიზი ელით. სექტემბერში რუმინეთში იწყება ახალგაზრდა სპორტსმენთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც პირველად მიიღებს მონაწილეობას ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — თბილისელი ხვიჩა ხდრიანი. ყოველ შემთხვევაში, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მისი მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა ეჭვს არ იწვევს. საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კონსტანტინე კობცევის აზრით, ნაკრებ გუნდში ხდრიანს კონკურენტი არა ჰყავს თავის წონით კატეგორიაში (54 კგ). ხვიჩაც გულმოდგინედ ემზადება ამ შეჯიბრებაში გამოსასვლელად.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ხვიჩა ხდრიანმა გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული ბევრ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ამ ასპარეზობებში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წევრები, როგორც წესი, ასაკით უფროს მოკრივეებს ებრძოდნენ. საინტერესოა, რომელ ტურნირებში მონაწილეობდნენ ჩვენი ათლეტები და კერძოდ, რა შედეგებს მიაღწია ჩვენმა თანამემამულემ. გასული წლის ნოემბერში ალჟირში გამართულ შეჯიბრებაში ხვიჩამ I ადგილი დაიკავა. ასევე პირველი იყო იგი დეკემბერში, კენიის საერთაშორისო ტურნირშიც. თებერვალში საბჭოთა ნაკრები ისევ ალჟირში ჩავიდა სასპარეზოდ. აქ მეტად ძლიერმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. ხვიჩამ მეორე წრეში ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს, ალჟირელ ბენგაძის მოუგო (ქართველი მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო ბრძოლა II რაუნდში შეწყდა), ხოლო ფინალში თითქმის თანაბარი ორთაბრძოლა დათმო პანამერიკული თამაშების ჩემპიონთან კუბელ ეჩივარიასთან. აქვე უნდა ითქვას, რომ რინგზე ხვიჩა დაშავებული ხელით გამოვიდა, მაგრამ კობცევს ისე უნდოდა გამოცდილ კუბელ მოკრივესთან პაექრობაში ეხილა ჩვენი სპორტსმენი, რომ ტრავმა არად ჩაუგდია. აპრილში საბჭოთა გუნდმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. ხდრიანმა ფინალში დათმო ორთაბრძოლა და ისევ კუბელ ათლეტთან. სხვათა შორის, ამ ტურნირებში ხვიჩა ოთხჯერ შეხვდა კრივის აღიარებული ცენტრის — კუბის წარგზავნილებს და ტოლი არ დაუდო მათ — ოთხიდან ორ შეხვედრაში მსაჯებმა გამარჯვების ნიშნად მას აუწიეს მარჯვენა.

სპორტსაზოგადოება „შრომითი



რეზერვების" წევრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გარი ხაჩატუროვის მოწაფე, ევროპის ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ხვიჩა ხდრიანი ახლა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაშია და კისლოვოდსკში ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მეტად გულმოდგინედ, თავდაუზოგავად ვარჯიშობს. წვრთნა-ვარჯიშში და გამარჯვებისაკენ სწრაფვა ალბათ უნაყოფოდ არ ჩაივლის და რუმინეთის ჩემპიონატი ორმაგ სიხარულს მოუტანს ქართველი კრივის გულშემატკივრებს.

კახაბერ მეტრეველი.

ინფორმაცია

ოსლო. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება რამდენიმე მაღალი კლასის შედეგით აღინიშნა. 5000 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა საიდ აოუიტამ (მაროკო) მსოფლიოში მეორე შედეგი აჩვენა — 13.04,52. მსოფლიოს ჩემპიონმა სტივ კრემმა (ინგლისი) 1500 მეტრი გაირბინა 3.31,34-ში.

ბერლინი. გდრ-ის დედაქალაქში შედგა „ოლიმპიური დღის" სტარტები, პეტრა ფელკემ (გდრ) შუბი 74,90 მ-ზე ტყორცნა. მსოფლიო ჩემპიონმა მარიტა კოხმა (გდრ) 100 მ. 11,12-ში დაფარა.

სოფია. ტყვიით მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბულგარელმა ვესელა ლეჩევამ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილი სროლაში 600 შესაძლებლიდან 600 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალკოჰოლი ფეხბურთის მტერია

ყველამ იცის, რა შეურიგებელი, დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის უაღრესად მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადამჭრელ ზომებს მიმართა, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიჯანსაღის ერთ-ერთი უპირველესი მტერი — ლოთობა. ყველამ, ვისთვისაც კი ძვირფასია საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობა, მათი სიჯანსაღე, სიმხნევე, დღენიადაგ უნდა იზრუნოს, რომ ალკოჰოლი საერთოდ ამოიძირკვოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან, ჩვენი ყოფიდან.

განსაკუთრებით ხაზგასმით ითქვა, რომ ლოთობასთან ბრძოლა დროებითი, კამპანიური ხასიათის მოვლენა არ არის, რომ ამ უაღრესად მავნე გადმონაშთთან ბრძოლა შრომითი, საწარმოო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მშრომელების, მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთა გაჯანსაღების უცილობელი პირობაა.

ლოთობა და ალკოჰოლიზმი სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის უპირველესი მტერია. ყველამ კარგად იცის, რომ ვინც ალკოჰოლურ სასმელებს ეტანება, ფეხბურთს ვერ თამაშობს. ღვინო და ფეხბურთი ანტიპოდებია, ყოვლად დაუშვებელი და ჩვენი ცხოვრების ეთიკურ ნორმებთან შეუთავსებელია სმა სტადიონების ტრიბუნებზე, უდისციპლინობა, ბილწსიტყვაობა და ჩხუბი როგორც მწვანე მინდორზე, ისე მაყურებელთა შორისაც.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებას მთელი საბჭოთა ხალხი დადებითად გამოეხმაურა, ყველანი მობილიზებული არიან, რათა სიფხიზლე და წესრიგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ურყევ ნორმად იქცეს. მაგრამ ალკოჰოლიზმთან ამ შეურიგებელი, საყოველთაო ბრძოლის დროსაც კი ჯერ კიდევ ვხვდებით ყოვლად უმსგავს, მოუთმენელ რეციდივებს. ამიტომ თითოეული ჩვენგანის უშუალო მოვალეობაა ვებრძოლოთ აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ მავნე ჩვევებს, ერთხელ და საბოლოოდ განვდევნოთ ისინი საბჭოთა ადამიანთა ცხოვრებიდან.

მიუხედავად ამისა, დასამალი არაა, რომ ჩვენი ფეხბურთის სინამდვილეში ჯერ კიდევ საკმაოდ ვხვდებით წესრიგის უხეშ დარღვევას, მთვრალ მაყურებელთა უდისციპლინობას. მაგალითად, თბილისის „სინათლის“ სტადიონზე, სადაც სისტემატურად იმართება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები, ხშირად მოდიან ნასვამი, მთვრალი „გულშემატკივრები“, რომლებიც დაუშვებელი ფორმებით გამოხატავენ თავიანთ განწყობილებას. ასე იყო 9 ივნისსაც, როცა თბილისის „ავტომობილისტი“ ხვდებოდა თბილისის „იმედს“. სტადიონის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მილიციელი, არც ერთი სახალხო რაზმეული და, საერთოდ, ვინმე, ვისაც წესრიგის დაცვა ევალებოდა. მთვრალი მაყურებლები უტიფრად იგინებოდნენ, ზოგიერთი მათგანი იმასაც ლამობდა, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა გვერდითი მსაჯისათვის, რის გამოც თამაში კარგა ხნით შეწყდა. საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია კატეგორიულად აფრთხილებენ „სინათლის“ სტადიონის დირექციას, რომ თუ ბაზაზე არ დამყარდა სათანადო წესრიგი, თუ ტრიბუნებზე არ აღიკვეთა მთვრალ გულშემატკივართა თავაშვებულობა, რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩები აქ არ ჩატარდება, „ავტომობილისტი“ სხვა მინდორზე ითამაშებს.

ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან გადამჭრელი ბრძოლის კანონი, როგორც ცნობილია, პირველი ივნისიდან შევიდა ძალაში, უკვე მეორე დღეს კი, 2 ივნისს, თელავის სტადიონზე უწესრიგობა მოხდა. თვით სტადიონი იმ დღეს სადღესასწაულოდ იყო მორთული, იქ საკმარისად იყვნენ შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებიც, სახალხო რაზმელებიც, თამაშის დასაწყისიდან ტრიბუნებზე სრული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მერე ვიღაც ნასვამმა ვაი-გულშემატკივარმა, როგორც იტყვიან, ერთი კოვზი კუპრით წაბილწა მთელი კასრი თაფლი. მატჩი თელავის „კახეთსა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის (თბილისი) ფეხბურთელთა გუნდებს შორის საინტერესო, მაღალ სპორტულ დონეზე მიმდინარეობდა, ის მთვრალი მაყურებელი კი სტადიონზე სამწუხარო გამონაკლისი იყო. იგი მთელი დამსწრე საზოგადოების გაკიცხვის ობიექტად იქცა. ლოთი სახალხოდ გააძევეს სტადიონიდან.

იმავე 2 ივნისს კასპის „განთიადი“ მასპინძლობდა წულუკიძის „იმერეთს“. უამინდობის გამო თამაში ახლომდებარე სოფელში გაიმართა. მატჩის დაწყებამდე სტადიონზე სულ 10-15 მაყურებელი თუ იყო, რომლებმაც თავიანთი „სტუმართმოყვარეობა“ წულუკიძელთა ავტობუსის მოსვლისთანავე გამოავლინეს და „მისალმებაც“ ლანძღვა-გინებით გამოხატეს. მათი უმეტესობა, რა თქმა უნდა, ნასვამი იყო. მოხდა მეტიც: ვიღაც უცხო პირმა კასპის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, მუშტი-კრივი გაუმართა. ნასვამი მაყურებელი, როგორც იქნა, გააძევეს სტადიონიდან, თამაში დაიწყო, მაგრამ დაახლოებით 20-25 წუთის შემდეგ სტადიონზე ჯგუფ-ჯგუფად შემოვიდა 150-200 მაყურებელი, რომელთა უმრავლესობა ასევე მთვრალი იყო. ისინი დაურიდებელი აურზაურით შემოცვივდნენ სტადიონზე, ხელს უშლიდნენ თამაშის მსვლელობას, გვერდით მსაჯს. თამაში შეწყდა. მხოლოდ საკმაო ხნის შემდეგ დამყარდა წესრიგი და მატჩის დასრულებაც შესაძლებელი შეიქნა. აქაც, ამ მატჩზე, მილიციის არც ერთი მუშაკი არ იყო.

ეს დასანანი ფაქტები სამაგალითოდ მოვიყვანეთ. ჯერ კიდევ იშვიათი არაა შემთხვევები, როცა ღვინით გალეშილი ადგილობრივი „პატრიოტები“ ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მსაჯებზე, დაურიდებლად იჭრებიან მათს ოთახებში, უშვერი სიტყვებით მიმართავენ მსაჯებსაც, სტუმართა გუნდების მწვრთნელებსაც და ფეხბურთელებსაც. ასეთ ვაი-გულშემატკივართა წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლაა საჭირო.

არც ისაა იშვიათი, როცა კალენდარული თუ ამხანაგური მატჩების შემდეგ მასპინძელი და სტუმარი გუნდები ერთად ვახშმობენ, ფეხბურთელები საკმაოდ სვამენ სპირტიან სასმელებს. ამ თავისებურ კოლექტიურ ლოთობას შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ინსპექტორებმა, მწვრთნელებმა, მთელმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა.

ზოგიერთი სუსტი ნებისყოფის მსაჯი მატჩის შემდეგ აჰყვება ხოლმე ცდუნებას, უარს არ ამბობს მიპატიჟებაზე და ავიწყდება, რომ მეორე დღეს სხვა მატჩი აქვს ჩასატარებელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაბახუსევ ადამიანს უქვეითდება ფიზიკური მომზადებულობის დონე, მხედველობა, დარღვევათა დროული ფიქსირების უნარი და ყველა სხვა თვისება, რაც ესოდენ საჭიროა ფეხბურთის მატჩის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც, რომლებიც თბილისში ან რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ამთავრებენ სპორტსკოლებს და შემდეგ მოზრდილთა გუნდებში თამაშობენ. ეს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები იწყებენ სმას, ეძალებიან ალკოჰოლს, რაც იმით მთავრდება, რომ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ნაადრევად ეთხოვება ფეხბურთს. ვინ მოთვლის, რამდენი ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი, მწვრთნელი თუ მსაჯი შეიწირა ღვინისა და არყის ტრფიალმა.

მთელი ჩვენი სპორტული და საფეხბურთო საზოგადოებრიობის წინაშე ახალი, კონკრეტული ამოცანებია დასახული: გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ბახუსის ყველა თაყვანისმცემელს, ჩვენს ფეხბურთში ლოთობა საერთოდ უნდა აღმოიფხვრას, ხოლო სტადიონებზე, სპორტულ ბაზებზე და მათს მახლობლად კატეგორიულად აიკრძალოს სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა. ყველას უნდა გვახსოვდეს: ალკოჰოლი ფეხბურთის მტერია.

გიორგი ბაქანიძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ტურნირის ექო

ერთი ტაქტიკური შეცდომის ფასი

როგორც ვიუწყებოდით, ქალაქ ანტიბში (საფრანგეთი) ჩატარდა მესტენდურეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც თამაზ იმნაიშვილმა ერთი ოქროს (გუნდური შეჯიბრება) და ერთი ვერცხლის (პირადი ჩათვლა) მედალი მოიპოვა. თბილისში დაბრუნებისთანავე თამაზი „ლელოს“ რედაქციას ეწვია და კორესპონდენტს ესაუბრა.

● ჯერ რამდენიმე სიტყვა გუნდური ბრძოლის შესახებ.

— მრგვალ სტენდზე პირველი ას ორმოცდაათი გასროლა, როგორც წესი, გუნდურ შედეგებს განსაზღვრავს. მე ას ორმოცდარვა სამიზნე დავამსხვრიე, ნოვოსიბირსკელმა ალექსანდრე ჩერკასოვმა ას ორმოცდაშვიდი, ბაქოელმა ალექსანდრე ტიმოხინმა კი ას ორმოცდაექვსი. სულ ჩვენს გუნდს 441 ქულა დაუგროვდა და ვერც ერთმა კოლექტივმა ვეღარ შეძლო მისთვის გაესწრო. სხვებზე უკეთ იტალიელები ისროდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისინიც ორი ქულით ჩამორჩნენ. მესამე შედეგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს აღმოაჩნდა — 437 ქულა. ბრინჯაოს მედლებიც მათ გადაეცათ.

● ამ დროს პირად ჩათვლაში რა ხდებოდა?

— გუნდური ასპარეზობის შემდეგ გამოირკვა, რომ პირველი ორი დღე ყველაზე უკეთ გერმანელმა ბერნჰარდ ჰოპვალდმა „გაიარა“: ას ორმოცდაცხრა თეფში ზუსტად დაამსხვრია და მიზანს მხოლოდ ერთი სროლა ააცდინა. ას ორმოცდარვა ქულით მეორე ადგილზე ვიყავი, მაგრამ ასეთივე შედეგი კიდევ სამ სპორტსმენს ჰქონდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი ქულით ჩამოგვრჩებოდა კიდევ ცხრა მონაწილე. ასე რომ, ბევრი რამ მესამე დღეს უნდა გარკვეულიყო.

● მესამე დღეს, ჩვეულებრივად, ორმოცდაათი სამიზნე გეძლევათ, არა?

— დიახ, ორი სერია ოცდახუთ-ოცდახუთი გასროლით, მაგრამ თუ ამის შემდეგაც ერთნაირი ქულები აღმოგვაჩნდა, კიდევ, არც მეტი, არც ნაკლები, ორი დამატებითი სერია ინიშნება. თუ ორმოცდაათ დამატებით გასროლაში არ გამოვლინდა ჩემპიონი, მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდება ორ ან რამდენიმე სპორტსმენს ერთდროულად მიანიჭოს გამარჯვება.

G.P. de FRANCE S.C.
ANTIBES 1985

ასეთია საფრანგეთის დიდი პრიზი, რომელიც თამაზ იმნაიშვილს და მის თანაგუნდელებს გადაეცა.

● ამჯერად ხომ არ წარმოქმნილა ამის საშიშროება?

— სხვათა შორის, კი, მაგრამ ჯერ მთავარ ბრძოლაზე მოგახსენებთ. ჰოპვალდმა პირველ სერიაში ორი შეცდომა დაუშვა, მე კი ოცდახუთი სამიზნე დავაზიანე და მეტოქეს, რომელიც ქულით მისწრებდა, ახლა ასეთივე სხვაობით მე გავუსწარი. მეორე სერია ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდა, თუმცა მიზანს მხოლოდ ერთხელ ავაცდინე. საქმე ის გახლავთ, რომ მესამე დღეს ორთავე სერიაში შეცდომა არ დაუშვია ახალგაზრდა შვედს ბიორნ ტორვალდსონს, რომელიც მანამდე ერთი ქულით ჩამომრჩებოდა. სანამ ტორვალდსონი ბოლო სერიას ასრულებდა, მე გამარჯვებას მილოცავდნენ. ახალგაზრდა შვედისგან სასწაულს არ ელოდნენ, მაგრამ მას რკინის ნერვები აღმოაჩნდა და ბრწყინვალედ „გაიარა“ მესამე დღე. შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ მე და ტორვალდსონს ერთნაირი შედეგი აღმოგვაჩნდა — ორასი შესაძლებლიდან 198 ქულა.

● ჩვენთვის ცნობილია, რომ ოქროს მედალი თქვენ დამატებითი შეჯიბრების მეორე სერიაში დაკარგეთ. რაიმე ობიექტური მიზეზის გამო?

— რაც გნებავთ ის დაარქვით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ტაქტიკური შეცდომა მომივიდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტენდი უნდა დამეტოვებინა და ბრძოლის შედეგებს სასტუმროში დავლოდებოდი მშვიდად. ვინმეს რომ ერჩია, ალბათ ასეც მოვიქცეოდი. მე კი სტენდზე დავრჩი და მთავარი მეტოქის შედეგების მოლოდინში, როგორც სპორტსმენები იტყვიან, „გადავიწვი“. ფაქტიურად ხუთი საათი დავყავი სასროლეთზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიწვიეს „გადასროლაზე“. ამ მხრივ შვედი უფრო ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა, მან მთავარი ბრძოლა დაამთავრა და მცირე შესვენების შემდეგ ხელახლა გამოვიდა ცეცხლის ხაზზე. როგორც ჩანს, ამან გადაწყვიტა ორთაბრძოლის ბედი. პირველ დამატებით სერიაში ორივე ზუსტად ვისროდით, მეორეში კი მან ოცდახუთი სამიზნე დაამსხვრია, მე — ოცდაოთხი.

● ადრე თუ გქონდათ ტორვალდსონზე რაიმე გაგონილი?

— შვედი სპორტსმენი ევროპის საუკეთესო მსროლელთა შორის არასდროს ყოფილა გამორჩეული. თუ არ ვცდები, მან შარშან ჰელსინკის დიდი პრიზი მოიგო და პირველად მაშინ მიიქცია ყურადღება. ანტიბში ფავორიტთა შორის არ ირიცხებოდა, მაგრამ ჩვენს სპორტში ეს არაფერს ნიშნავს. ტორვალდსონმა ამჯერად მოინდომა და მიზანსაც მიაღწია.

● როგორც გავიგეთ, ანტიბში „გრან პრიც“ გაუთამაშებიათ. ეს რა შეჯიბრება იყო?

— ევროპის ჩემპიონატის პარალელურად აქ საფრანგეთის დიდი პრიზიც გათამაშდა. ამ პრესტიჟული ტურნირის ჩათვლაში ოთხი საუკეთესო მსროლელის შედეგი შედის. საბჭოთა კავშირის ნაკრების სამი წევრის მაჩვენებელს დაემატა მეოთხე მონაწილის, რიგელი ბორის ტიმოფეევის ქულებიც, რამაც საბოლოო ჯამში 587 ქულა შეადგინა, ხუთი ქულით მეტი, ვიდრე იტალიის გუნდს ჰქონდა. ჩვენმა გუნდმა „გრან პრი“ მოიგო. დამერწმუნეთ, ეს არანაკლებ საამაყო წარმატებაა.

წინა ნომერში სატრანშეო სტენდზე გუნდური ბრძოლის შედეგები გაგაცანით. ევროპის ჩემპიონი იქ იტალიის გუნდი გახდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კი მეორე ადგილი დაიკავა. ახლა პირადი ბრძოლის შედეგებს გთავაზობთ: 1. პოლ იაკობსონი (დანია) — 197 ქულა (200-დან). მეორე და მესამე პრიზიორის გამოსავლენად ამჯერადაც დამატებითი სერიები დაინიშნა. ვერცხლის მედალი ერგო მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს იტალიელ ლუჩანო ჯოვანეტის, ბრინჯაოსი — ფრანგ კრისტოფ გელპას. საბჭოთა მსროლელებმა ალექსანდრე ასანოვმა (195), დიმიტრი მონაკოვმა (195) და ალექსანდრე სტაროდუბმა (194) შესაბამისად მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.

იუნიორთა შორის სროლის ამ სახეობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მიროსლავ ბედნარჟიკი (ჩეხოსლოვაკია) — 193, 2. არი დუიმო (ფინეთი) — 192, 3. ანდრეი კუდიმოვი (სსრ კავშირი) — 190.

მოკლედ

დედაქალაქის ჩემპიონები

დამთავრდა თბილისის მოშაშე ქალთა ჩემპიონატი 64-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 16 მოშაშე მონაწილეობდა.

შესანიშნავად ითამაშა ელენე ტატიშვილმა. მან 14 პარტია მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა. ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი შაშის ხელოვნებას ოქტომბრის რაიონის პიონერთა სასახლეში ეუფლება.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებამდე ელენე ტატიშვილმა ორი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. ჯერ საქართველოს მოსწავლე გოგონათა პირველობაში გაიმარჯვა (ასუჯრიან შაშში), მერე „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოს ქალთა ჩემპიონატში (64-უჯრიან შაშში).

ვაჟთა პირველობაში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ლევან კიკნაძემ (7-დან 6 ქულა). თბილისის ახალმა ჩემპიონებმა და პრიზიორებმა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

როლანდ ქერდიყოშვილი,
სპორტის ოსტატ

54 მოჭადრაკის მონაწილეობით

საგარეჯოს ჭადრაკის სახლში დამთავრდა „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭოს გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში 18 ქალაქის და რაიონის გუნდი მონაწილეობდა. თითოეულში ორი ჭაბუკი და ერთი გოგონა გამოდიოდა. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, 15 ქულით I ადგილი დაიკავა ცხაკაიას გუნდმა. ამდენივე ქულით II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი მოჭადრაკეები. 12,5 ქულით III ადგილზეა ზუგდიდის გუნდი. ცალკეულ დაფებზე უძლეველნი იყვნენ: გოჩა თორია, დათო თულაძე (ორივე — ზუგდიდი) და ეკა შონია (ცხაკაია).

დავით გურგენიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

26 და 27 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები:

„ქაირათი" — „დნეპრი" 1:1 (1:0). მასპინძელთა გოლს (ვოლგინი, 86-ე წუთი) სტუმრებმა მატჩის დასასრულს უპასუხეს (ბაგმუტი).

გააფრთხილეს „ქაირათის" მეკარე უბიკინი.

დუბლიორები — 3:1.

„დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს კონდრატიევმა და სოკოლმა (11-მეტრიანი).

დუბლიორები — 0:2.

„ფაქელი" — ასკ (დონის როსტოვი) 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს პიმუშინმა და მხითარიანმა.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" 0:0.

გააფრთხილეს ტორპედოელი სულაპაროვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი, უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:2.

„ჟალგირისი" — „ზენიტი" 0:0.

დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი" — „ნეფთჩი" 1:1 (0:1). პირველი ბურთი 25-ე წუთზე გაიტანა ბაქოელმა ბელიალოვმა, მოროზოვმა კი 90-ე წუთზე 11-მეტრიანით გაათანაბრა ანგარიში.

დუბლიორები — 0:0.

„დინამო" (მოსკოვი) — „არარატი" 1:1 (0:1). ბურთები გაიტანეს ქაჩარიანმა („არარატი") და კობელევმა („დინამო").

გააფრთხილეს დინამოელი სილკინი.

დუბლიორები — 7:2.

დღეს უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის I წრის ბოლო ტურის მატჩებია. სადღეისოდ გათამაშების საუკეთესო სნაიპერია დნეპროპეტროვსკელი ო. ტარანი, რომელმაც 10 ბურთი გაიტანა. ლენინგრადელმა ვ. კლემენტიევმა 9 ბურთი გაიტანა, ვილნიუსელმა ს. იაკუბაუსკასმა — 8.

მინდვრიდან . გააძევეს ხარკოვის „მეტალისტის" ფეხბურთელი ვ. კამარზაევი, ხოლო მოსკოვის „ტორპედოს" მოთამაშემ ი. სულაპაროვმა წლევანდელ გათამაშებაში მეოთხე გაფრთხილება დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი — მოვლენა მოხდა I ლიგის საკავშირო გათამაშებაში: კემეროვოს „კუზბასის" თავდამსხმელმა ვიტალი რაზდაევმა თავისი გამოსვლების ისტორიაში მეორასე გოლი გაიტანა, რაც ლიგის რეკორდია.

I ლიგა

28 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIX ტურის შეხვედრები.

დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ბათუმში, სადაც ადგილობრივმა დინამოელებმა აბოვიანის „კოტაიკი" მიიღეს. ახლა, როცა I ლიგის საკავშირო ტურნირის პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება (12 ივლისს ბოლო ტურია), ამ ორი გუნდის წინაშე კონკრეტული, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა დასახული: ორივე პირველ ექვსეულში მოსახვედრად იბრძვის, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ლიგაში ადგილის შენარჩუნების აბსოლუტურ გარანტიას იძლევა. გარდა ამისა, ამ ტურისთვის „კოტაიკს" 18 ქულა ჰქონდა, ხოლო ბათუმის „დინამოს" — 17. უახლოეს კონკურენტთა ბრძოლას უნდა გამოერკვია გამარჯვებული, რომელიც კიდევ უფრო მაღლა აიწევდა გათამაშების ცხრილში.

დინამოელებმა საუკეთესოდ გაართვეს თავი თამაშის სიძნელეებს და დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს უაღრესად საჭირო გამარჯვების მოპოვება. პირველ ტაიმში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, შესვენების შემდეგ სტუმრების საჯარიმო მოედანზე შექმნილ მწვავე სიტუაციაში კარგად გაერკვა გორგილაძე და ანგარიშიც გახსნა, შემდეგ კი ბაბუნიძემ ზუსტი დარტყმით დაამთავრა პარტნიორებთან გათამაშებული კომბინაცია — 2:0. დაძაბულობა არც შესვენების შემდეგ დამცხრალა, თუმცა დინამოელები შეეცადნენ შეენარჩუნებინათ მოპოვებული უპირატესობა და შეენელებინათ ტემპი. 82-ე წუთზე მასპინძელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, დარტყმა ზუსტად შეასრულა პეტროსიანმა, საბოლოოდ ბათუმის დინამოელებმა შეძლეს მეტად საჭირო გამარჯვების შენარჩუნება.

მეტოქე გუნდების შემადგენლობანი: **„დინამო" — მამინაშვილი, დანელია, ანდღულაძე, დურდიაძე, გოგიტიძე, ზედანია (ჟვანია), ესებუა (თორლაშვილი), ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე, ჩელებაძე; „კოტაიკი": ანტონიანი, პეტროსიანი, იაბლუკიანი (ასატრიანი), ფარხადანიანი, მოვსესიანი, პოღოსიანი, ბალაკიანი, გუკასიანი (სუქიასიანი), ხაჩატრიანი, ზახარიანი, ეღიგარიანი.** იმსაჯა კუიბიშეველმა პ. კოროლიოვმა.

• • •

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლანჩხუთელი ფეხბურთელებისთვის მატჩს საკუთარ მინდორზე კრასნოდარის „კუბანთან", რომლის შესახებაც ცნობას გვაწვდის ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი **ავთანდილ ორმოცაძე.**

მართალია, ორივე გუნდს პირველ ექვსეულში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა თუ აჩნდა მაგრამ მათთვისაც კი, ვინც გათამაშების პირველ ეტაპზე ბოლო ხუთეულში აღმოჩნდება, თითოეული ქულა ასევე ძვირად ფასობს, ვინაიდან მონაწილე გუნდებს შეჯიბრების მეორე ეტაპზე უკლებლივ, მთლიანად გადაჰყვებათ პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულები.

ლანჩხუთელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში, უკვე მე-5 წუთზე „ყუბანის" მხარეს დაინიშნა საჯარიმო. აკოფიანის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ლოგუნოვმა, მაგრამ ბურთს მიუსწრო ვერულაშვილმა და გახსნა ანგარიში.

უკვე მაშინ, როცა ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, კვლავ გამოიჩინა თავი აკოფიანმა. იგი შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, გადააწოდა უგრელიძეს და სტუმრებს კვლავ ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება — 2:0.

„გურია" შესვენების შემდეგაც ენერგიულად თამაშობდა, თუმცა მატჩის დასასრულს „ყუბანის" თავდამსხმელმა რუდკომ კარგად გამოიყენა მცველების შეცდომა, პირისპირ გავიდა მეკარე მჭედლიძესთან და შეამცირა სხვაობა ანგარიშში. ლანჩხუთელებმა ძნელ ბრძოლაში გაიმარჯვეს — 2:1.

გუნდების შემადგენლობანი: **„გურია" — მჭედლიძე, კონდრატიევი, ვერულაშვილი, თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (ტყებუჩავა), გილიგაშვილი, სიჭინავა, ჩხაიძე (ხარაბაძე), უგრელიძე (იობიძე), აკოფიანი; „ყუბანი": ლოგუნოვი, გორიუნოვი, პოდობედოვი, მირნი, კოტენოვი (ანდრეიჩენკო), ჩებოტარიოვი, ლაგოიდა, კალეშინი, რუდკო, კოლესოვი, სემენიუკოვი (იუდინი).** მსაჯი **ა. ლიტვინენკო** (კიევი).

გააფრთხილეს მელიქია.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: **დასავლეთი ზონა.** „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 3:1, „დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0. **აღმოსავლეთი ზონა.** ცსკა — „კუზბასი" (კემეროვო) 2:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:4, „ზვეზდა" (ჯიზაკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „პამირი" (დუშანბე) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:1.

გათამაშების ცხრილები ● მდგომარეობა 30 ივნისისთვის

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა"	17	10	4	3	31-11	24
ასკ „კარპ."	18	8	6	4	23-15	22
„კოლოსი"	17	8	3	6	23-18	19
„დინამო" ბ.	17	8	3	6	23-21	19
„კოტაიკი"	17	8	2	7	22-20	18
„დინამო" სტ.	18	7	3	8	12-16	17
„მეტალურგი"	17	6	4	7	14-21	16
„გურია"	17	6	3	8	17-23	15
„სპარტაკი"	17	6	2	9	19-20	14
„ყუბანი"	17	6	1	10	21-24	13
„ნისტრუ"	18	5	3	10	16-32	13

აღმოსავლეთი ზონა

ასკ ხ.	18	10	3	5	33-26	28
„პამირი"	17	8	6	3	21-11	22
ცსკა	17	7	7	3	28-16	21
„შინიკი"	17	7	7	3	20-18	21
„როტორი"	18	6	8	4	27-19	20
„ლოკომოტ."	17	7	4	6	15-21	18
„ფახთაქორი"	17	6	6	5	21-17	18
„კუზბასი"	18	7	2	9	23-21	16
„კრ. სოვეტ."	17	4	7	6	13-17	15
„ზვეზდა"	17	3	4	10	17-33	10
„ისკრა"	17	1	4	12	6-25	6

ჯანსაღ
სხეულში
ჯანსაღი
სული!

ჯანმრთელობის ჰარმონია

ამ ორიოდე წლის წინ ქართულ ენაზე პირველად გამოიცა „დაო დე ძინი", „წიგნი-გზისა და სათნოებისა", რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში დაწერა დიდმა ჩინელმა ფილოსოფოსმა ლაო-ძიმ. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „დაოს ერთი მნიშვნელობაა გზა, მეორე გონება. იგი სამყაროს საწყისიცაა და კანონზომიერებაც. განსაზღვრავს ბუნების, საზოგადოებისა და პიროვნების არსებობას. ფიქრობენ, რომ დაო არის მატერიალური საწყისი, რომელიც გამორიცხავს ჩარევას სამყაროს მარადიულ ცვალებადობაში. ლაო ძის ეთიკის მოთხოვნაა უბრალოება... იგი მშვიდობის ერთ-ერთი მხურვალე აპოლოგეტია".

ლაო-ძის მოძღვრება ეფუძნება დაოს და დეს ანუ შიგასა და გარეს, აქტიურობა და პასიურის, ხისტისა და რბილის, დღისა და ღამის, მდედრისა და მამრის, ძლიერისა და სუსტის, ცხელისა და ცივის, ძილისა და სიფხიზლის და ა. შ. ურთიერთდაუშორებლობის, მაგრამ, ამავე დროს, ურთიერთშეურევლობის აუცილებლობას. მაგალითად, დღეს ღამე ცვლის, მაგრამ შეუძლებელია ერთდროულად დღეც იყოს და ღამეც, რაიმე ცივიც იყოს და ცხელიც, რბილიც იყოს და ხისტიც... მართალია ყველაფერი ურთიერთსაპირისპირო ცალ-ცალკე არსებობს, მაგრამ ისინი ერთმანეთზე გამუდმებით მოქმედებენ, იხვეწებიან, ქმნიან მთლიანობას, იდეალურ სრულყოფილებას, რომელიც სამყაროს წრიული ციკლის კანონს ექვემდებარება (დედამიწა წრიულია, მზის სისტემის ყველა პლანეტაც და თვით მზეც მრგვალია და არა სხვა ფორმისა. წრიულია მათი ურთიერთმოძრაობაც და ა. შ.).

მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საინტერესო იქნება განვმარტოთ, რას ნიშნავს რბილისა და ხისტის ერთიანობა, როგორც აუცილებელი პირობა სრულქმნილი, სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებისა.

ამის შესახებ გვესაუბრება ინჟინერი და მხატვარი-კარიკატურისტი იური ყეინაშვილი, რომელიც დამოუკიდებლად ეუფლება ხალხში ოდითგანვე გავრცელებულ ფიზიკური და სულიერი სრულყოფის აღმოსავლურ მეთოდებს.

ინტერვიუ

— **სამყაროში** ყველაფერი ორ თანაბარ ურთიერთმოქმედ და ერთმანეთისგან განუცალკევებელ ნაწილადაა გაყოფილი. მიღებულია აზრი, რომ რბილისა და ხისტის (ინისა და იანის) თეორია პირველმა ლაო-ძიმ შეისწავლა და მოგვცა ადამიანის სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის მისი მნიშვნელობის ფილოსოფიურ-თეორიული სისტემა.

ლაო-ძი ბუნებაზე დაკვირვებამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ, რაც რბილია და თოთო, სწორედ ისაა უძლეველი და სრულქმნილი. იგი ამბობს: „ცისქვეშეთში არაფერია: წყალზე უფრო სუსტი და წყალზე უფრო რბილი. მაგრამ ძალუძს სძლიოს: ყველაზე უფრო მაგარსა და ყველაზე უფრო ძლიერს". („დაო დე ძინი". გვ. 232). და კიდევ: „ოდეს იბადება კაცი: თოთოა და სუსტი. ოდეს კვდება კაცი: მაგარია და ხმელი. ყოველი არსი და აღმონაცენი: თოთოა და სუსტი აღმოცენებისას. ყოველი არსი და აღმონაცენი: მაგარია და ხმელი კვდომისას". (გვ. 231).

სრულყოფისკენ სწრაფვა იგივეა, რაც სწრაფვა რბილისკენ, რომელიც მთლიანობაში სულიერისა და ფიზიკურის ან შიგასა და გარეს ერთიანობას გულისხმობს. ხალხმა ეს პრინციპი დაუდო საფუძვლად მსოფლიოში დღემდე შემორჩენილ გაჯანსაღებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მრავალ მეთოდს.

● **კონკრეტულ მაგალითს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— ჩინელები საუკუნეთა განმავლობაში აოცებდნენ ევროპელებს იმით, რომ სულიერი და ფიზიკური სრულყოფისთვის ერთ უცნაურ ხერხს მიმართავდნენ: განთიადისას და შებინდებისას ასრულებდნენ რიტმულ, რბილ და რაღაცნაირად თანამედროვე ბალეტის მსგავს ვარჯიშებს. თვით ჩინელები ამბობენ: ის, ვინც დღეში ორჯერ სწორად და რეგულარულად ვარჯიშობს რბილი ანუ შინაგანი გაწყობისა და შთაგონების — შიგას მეთოდით, რამდენიმე ხანში მიაღწევს თოთო ბავშვის მოქნილობას, ხის მჭრელის ჯანმრთელობას და ბრძენის გონების სიმშვიდეს. ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ ზაციორსკის წერილი „ტრაქტატი ჯანმრთელობის შესახებ". ავტორი წერს:

„ჩინური სისტემა შეიცავს ვარჯიშთა სერიას, რომლებსაც ადამიანი ერთ მდგომარეობაში — ფეხმორთხმით მჯდარი ასრულებს. ვარჯიშის დაწყებამდე ყველა გარეშე საზრუნავი უნდა დაივიწყოთ, რათა სრული სიმშვიდე დაგეუფლოთ. ამ დროს, როგორც ერთ ძველ წიგნშია ნათქვამი, „... სული წყნარი წყლის ზედაპირს უნდა ჰგავდეს".

ვარჯიშები შედგება სხვადასხვა სუნთქვითი მოძრაობებისაგან, მუცლისა და სხვა კუნთების შეკუმშვისა და მოდუნებისაგან. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ისეთი ორგანოებისა და სისტემების ვარჯიშს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ყურადღების მიღმა რჩებათ კომპლექსების შემდგენლებს (მაგალითად, ღრძილებისა და სასის მასაჟი ენით, თვალების მოძრაობა მარჯვნიდან მარცხნივ, ზევიდან — ქვევით, წრიული...). ასეთი ტიპის ვარჯიშები, რაც შეიძლება სიყრმის წლებში ზედმეტიც იყოს, მეტად სასარგებლოა, ვთქვათ, სამოც წელს გადაცილებულებისთვის".

● **როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ხალხთა ფიზიკურმა ვარჯიშებმა ჩვენი სპეციალისტების ყურადღებაც მიიპყრო.**

— საბჭოთა სწავლულებმა უკვე შეიმუშავეს კომპლექსი ხანში შესულთათვის, რომელსაც საფუძვლად დაედო ძველი ჩინური ტანვარჯიში. ჩინური ვარჯიშები საქართველოში სამკურნალო ფიზკულტურაშიც ინერგება.

ჩინელებს სწამთ, რაც ბუნებრივია, ყველაფერი ბავშვშია. ამიტომ ისინი ცდილობენ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნონ ის, რაც ბავშვისთვისაა ბუნებრივი. მაგალითად, ბავშვი სწორად იკვებება, ზედმეტს ვერ შეჭამს, იძინებს მაშინ, როცა ეძინება. მზე რომ ამოდის და ჩადის, ღვიძავს, როცა მზე ზენიტშია, იძინებს, სწორად სუნთქავს (მუცლით და არა მკერდით), მისი რეაქცია მოდუნებულია, ნელა ჭამს, საერთოდ უნებურად მიჰყვება „ბუნების შიგა ხმას", რასაც მოწიფულობაში არაფრად ვაგდებთ და ანგარიშს არ ვუწევთ. ბავშვი დაძაბული არ დგას, მოდუნებულია. ესაა რბილი მეთოდის (ჩინური ვარჯიშების) ერთ-ერთი ძირითადი დგომი, რაც განაპირობებს მიწისა და ცას შორის მოძრავი ენერგიის ორგანიზმში გადასვლას. ორგანიზმი ენერგიის გამტარია, ესე იგი ჯანმრთელია და რბილი. თუ ორგანიზმი დაძაბულია, იგი ნაკლებად ატარებს კოსმიურ ენერგიას, რომელიც ასე სჭირდება ადამიანს.

ჩინელები ცდილობენ მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნონ ბავშვთან მსგავსება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დარჩნენ ბავშვებად".

● **როგორც ცნობილია, სპორტის თანამედროვე სახეობათა ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ფიზიკური სრულყოფის ხალხური მეთოდების დახვეწამ. განსაკუთრებით სპორტის რომელ სახეობაში იგრძნობა ლაო-ძის თეორიის პრაქტიკული განვითარება?**

— ავიღოთ თუნდაც ძიუდო. სპორტის ამ ოლიმპიური სახეობის მამამთავარი კანო ჩინებულად იცნობდა ლაო-ძის მოძღვრებას. მან თავადაც განაგრძო დაკვირვება ბუნებაზე, რათა ჩასწვდომოდა რბილის უპირატესობას ხისტის წინაშე. როგორც ამბობენ, ერთ ზამთარს, ხეივანში სეირნობისას კანომ შენიშნა, როგორ თავისუფლდებოდა თოვლის სიმძიმისაგან დახრილი ხის ტოტები. იგი მიხვდა, რომ დათმენითა და დაყოლით შეიძლება საბოლოოდ დაძლიო ხისტის აგრესიულობა.

● **რა იგულისხმება დათმენასა და დაყოლაში?**

— ისევ თოვლისა და ტოტის მაგალითს დავუბრუნდეთ. თოვლის დაწოლით ტოტი იდრიკება და ნახევარწრის ფორმას იღებს, რის შედეგადაც თოვლი ტოტიდან უკვე თავისთავად ცურდება. ამ მეთოდით შექმნა კანომ ძირითადი ე. წ. რბილი ილეთები, რომელთა საშუალებითაც სუსტი, მაგრამ მოქნილი „რბილი" სპორტსმენი ბევრად ღონიერ და ხისტ მეტოქეს ამარცხებდა. რაც უფრო მძლავრად შეუტევდა ღონიერი და ხისტი სუსტს და რბილს, უფრო სწრაფად მარცხდებოდა. გარკვეულ მომენტამდე ხის ტოტის მსგავსად სუსტსა და რბილს თითქოს ძლევს ხისტის ზემოქმედების ძალა, მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე. საგულისხმოა ისიც, რომ უხეში და სუსტი ღონის იმედად მყოფი სპორტსმენი, რომელმაც რბილის ძალა იწვნია, უთუოდ დაფიქრდება თავის უხეშობასა და უსუსურობაზე, შეეცდება შეცვალოს ფიზიკური, ტაქტიკური და მორალური მზადების მეთოდი, რაც საბოლოო ანგარიშით უფრო რბილს, ტაქტიანს, ინტელექტურსა და გონიერს გახდის მას. სწორედ ესაა რბილისა და ხისტის ურთიერთშერწყმისა და გარდაქმნის პრინციპის განსახიერება ფიზიკურ სრულყოფაში, სპორტში.

● **ქართულ ჭიდაობაშიც ხომ არის ასეთი ილეთები. ავიღოთ, მაგალითად, შუაკაური ან მოგვერდი. აქ ხომ იმ დათოვლილი ტოტის მსგავსად დამყოლის ტანი იდრიკება, თითქოს ნებდება მეტოქეს, ზურგს აქცევს და უცებ... მოწინააღმდეგე წრეს გადაევლება, მარცხდება...**

— თქვენ კითხვაში პასუხიც არის. ასე რომ, დასამატებელი არაფერი მაქვს.

— **თქვენ ბრძანეთ გარესამყაროს ენერგია ადამიანში გადადისო. როგორ ხდება ეს — სავანგებო ვარჯიშების მეშვეობით თუ...**

— მიწისა და ცის ენერგიის შეთვისება ძირითადად სუნთქვით ხდება. გარდა ამისა, კოსმიურ ენერგიას, რომელიც ჩრდილოეთიდან — პოლარული ვარსკვლავიდან მომდინარეობს, ადამიანი მეტს შეითვისებს, თუ პირსახით ჩრდილოეთისაკენ დადგება, წოლისას კი თხემით პოლარული ვარსკვლავისაკენ იქნება მიმართული. ასეთ დროს ადამიანი მშვიდდება, უკეთ ფიქრობს და აზროვნებს, უწყნარდება გონება, მშვიდად სძინავს, უკეთ ისვენებს, თავისუფლდება არასასიამოვნო განცდებისაგან. ეს უნდა გვახსოვდეს მაშინაც, როცა ვვარჯიშობთ, ვმუშაობთ თუ ვისვენებთ. თუ ზემოაღნიშნულ სიკეთეს ვიგრძნობთ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენსა და კოსმოსს შორის დამყარდა ჰარმონია, რაც ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის, ფიზიკური და სულიერი სრულყოფის, მაღალი სპორტული შედეგების ერთ-ერთი საწინდარია.

საუბარი ჩაიწერა
თენგიზ თომაშვილმა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐᲨᲘ

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲪ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ჩოგოვაძე გახლავთ. იგი 16 წლისაა, ხოლო ყველაზე უფროსი 26 წლის ვლადიმერ ალეინიკია. ვლადიმერი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენიცაა — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. ამ მხრივ მეორე ადგილზეა ტრომშინი, სხვადასხვა საკავშირო პირველობებში გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ყველა ფინალისტი საკავშირო და საერთაშორისო პირველობათა პრიზიორია, მათ შორის — ჩოგოვაძეც. ასე რომ, ფინალში (ეს შეჯიბრება დღეს, 3 საათზე დაიწყება) გაცილებით დაძაბული და საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

ჩვენს მკითხველს თავის დროზე წარვუდგინეთ ჩვენი ჩემპიონი დიანა მჭედლიძე, ახლა კი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებულ მინსკელ ალექსანდრ კოგალევს გაგაცნობთ.

მჭედლიძისაგან განსხვავებით, კოგალევი ოქროს მედალზე ოცნებობდა, მით უმეტეს, რომ მან წლეულს ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა. კოგალევს სტიმულს ისიც აძლევდა, რომ ავადმყოფობის გამო თბილისში სასპარეზოდ ვერ ჩამოვიდა მთავარი ფავორიტი ალექსეი პორტნოვი. თუმცა, მისმა ჩამოუსვლელობამ ჩემპიონატის სხვა მონაწილეებსაც აუშალა გამარჯვების საღერღელი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველა ფინალისტი შეუპოვრად იბრძოდა. ყველაზე დიდი მონდომება მაინც კოგალევმა გამოიჩინა და გაიმარჯვა კიდეც.

კოგალევი ექვსი წელია წყალში ხტომაში ვარჯიშობს. ახლა იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდის. მანამდე მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა. ალექსეისა და მის მწვრთნელს ანატოლი რიაბჩიკოვს სჯერათ, რომ უფრო დიდი გამარჯვებებიც მოვა.

ახლა კვლავ მიმდინარე ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. გუშინ გაიმართა ფინალური შეჯიბრება ქალთა შორის კოშკიდან ხტომაშიც. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ლობანკინამ (430,50). მეორე იყო სტასიულევიჩი (423,66), ხოლო მესამე — აფონინა (409,62). თბილისელმა განთიადელებმა ცოტაძემ და ბილიოვამ შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს (370,74 და 342,03). თუ გავიხსენებთ, რომ ცოტაძე დიდხანს არ ვარჯიშობდა, მეოთხე ადგილი წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა წარმოგიდგენთ ჩემპიონს: იგი პენზის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. ლობანკინა მეხუთედ მონაწილეობდა თბილისში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში. აქამდე მან ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა, ახლა კი პირველად გაიმარჯვა. როგორც სჩანს, მიმდინარე წელი ამ სპორტსმენისთვის ბედნიერია, რადგან მან წლეულს შანხაიში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲘᲒᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

ᲟᲔᲚᲔᲖᲜᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘ, 29 ივნისი (**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**). კურორტის კულტურის სასახლის 600-ადგილიან საკონცერტო დარბაზში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. გუშინ მოჭადრაკეებმა VII ტურის პარტიები გამართეს.

ამ დღეს ლიდერებიდან მხოლოდ ლიტინსკაიას გაუღიმა ბედმა — მან მოუგო ზაიცევას და 5 ქულით დაწინაურდა. მატვეევამ გადადო პარტია გლაზთან, ვუ მინგ კვენმა — მურეშანთან, გაფრინდაშვილმა — გურიელთან (ამ პარტიაში გაფრინდაშვილის პოზიცია ოდნავ უარესია).

პირველი გამარჯვება იზეიმა ლიუ შილანმა, რომელმაც ერთ-ერთი ლიდერი არბუნიჩი დაამარცხა. ჰოიბერგმა მოუგო ფერერ-ლუკაჩს, ხოლო ბრუსტმანმა — კადილკარს.

წინადღით გადადებულ პარტიებში კადილკარმა სძლია ივანკას, ხოლო გლაზმა — ბრუსტმანს.

პარტიები რომ დამთავრდა, ჩინელ ვუ მინგ კვენს გავესაუბრე. ვკითხე როგორ პოზიციაში გადადო პარტია, თან ვთხოვე „ლელოს" მკითხველებს წარსდგომოდა.

— პოზიცია ალბათ თანაბარია, — თქვა ვუმ მოკრძალებული ღიმილით. — მე 24 წლისა ვარ. ვსწავლობ პეკინის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსზე, ვეუფლები ძველ ჩინურ ენას. ჭადრაკს ბავშვობიდან ვთამაშობ. ჩემს ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სალონიკის საჭადრაკო ოლიმპიადაში (ჩინეთის გუნდში მეორე დაფაზე) და საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობა, ყველაზე დიდი წარმატება კი [illegible], როცა ორიოდე დღის წინ თვით ნონა გაფრინდაშვილს მოვუგე. სხვათა შორის, ეს პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ნონამ რისკიანად ითამაშა მოგებაზე.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ მარტა ლიტინსკაიას კვალში მიჰყვებიან: სვეტლანა მატვეევა — 4,5 (1), მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი) — 4 (1), აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი), ნინა ჰოიბერგი (დანია), ჯოვანა არბუნიჩი (ჩილე) — 4-4, ნონა გაფრინდაშვილი და ვუ მინგ კვენი (ჩინეთი) — 3,5-3,5 (1-1).

ᲓᲐᲗᲝ ᲛᲘᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲨᲘ?

30 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲙᲣᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲡ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲖᲝᲜᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ მძიმე და მღელვარე დღეები მოელით ჩვენს დიდოსტატებს ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანსა და ელენა ახმილოვსკაიას. საქმე ისაა, რომ ამ საზონათშორისო შეჯიბრებისთვისაც მხოლოდ სამი საგზური გამოიყო. მაშინ, როცა საბჭოთა დიდოსტატების გარდა, აქ იქნებიან „ჭადრაკის ოსკარის" მფლობელი შვედი პია კრამლინგი და უნგრელი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი. სწორედ მათ შეხვედრაში გადაწყდება თუ ვინ განაგრძობს მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლებისთვის ბრძოლას.

კუბის საზონათშორისო ტურნირში 18 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. ზემოდასახელებული „შესანიშნავი ხუთეულის" გარდა, თამაშში ჩაებმებიან დიდოსტატი ტერეზა შტადლერი (იუგოსლავია), საერთაშორისო ოსტატები გულნარა სახატოვა (სსრ კავშირი, ალმაათა), დიანა სევერეიდე (აშშ), დანა ნუცუ (რუმინეთი), სტეფანა ვოკრალოვა (გფრ), მალგოჟატა ვიზე (პოლონეთი), ნავა შტერენბერგი (კანადა), ასელა დე არმასი (კუბა), ოსტატები ან იანგ ფენგი, ეირკა ფრომეტა (ორივე — კუბა), ივონა ეზერსკა (აშშ), სიუზანა უოლკერი (ინგლისი) და რ. რიბეირო (ბრაზილია).

საზონათშორისო ტურნირის ახალბედებიდან სენსაციურ შედეგს არავინ მოელის, მაგრამ მათთან ქულის აღება ადვილი არ იქნება. კიდევ უფრო მეტ თავგამოდებას მოითხოვს თამაში გამოცდილ ოსტატებთან. ზოგ მათგანს (სევერეიდს, ვოკრჟალოვას, ნუცუს) მსგავს ტურნირში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვს. ისინი ალბათ არც ამჯერად დაიშურებენ ენერგიას სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

„ბედნიერი სამეულის" ვინაობას მხოლოდ ტურნირის დამთავრების დღეს — 27 ივლისს შევიტყობთ.

ᲙᲘᲓᲔᲕ უფრო დაძაბული ორთაბრძოლებია მოსალოდნელი ქალაქ ბილის (შვეიცარია) ტურნირში. მართალია, აქ პრეტენდენტთა შეჯიბრების ოთხი საგზური თამაშდება, მაგრამ მაძიებელნიც საკმარისად არიან. აი, ისინი: დიდოსტატები ლევ პოლუგაევსკი, რაფაელ ვაგანიანი, ანდრეი სოკოლოვი (ყველა — სსრ კავშირი), ულფ ანდერსონი (შვეცია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ეუგენიო ტორე (ფილიპინები), იასერ სეირავანი (აშშ), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), დიულა საქსი (უნგრეთი)... ვინ არ იმსახურებს საგზურს? გაიხსენეთ მათი მიღწევები, ძალა და შემოქმედებითი უნარი. მათგან ზოგიერთს პრეტენდენტებთან შეხვედრებშიც უსახელებია თავი. ცხადია, დიდოსტატები ტოლს არავის დაუდებენ, რადგან ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. რა თქმა უნდა, საბოლოო გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება როგორ დაამთავრებენ ისინი ერთმანეთთან გამართულ შეხვედრებს. თუმცა დანარჩენ მონაწილეებთან ნაჩვენებ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ ამ დანარჩენთა შორის არიან: დიდოსტატები ვლასტიმილ იანსა (ჩეხოსლოვაკია), მიგუელ კინტეროსი (არგენტინა), ჯონ ვან დერ ვილი (ჰოლანდია), ამადორ როდრიგესი (კუბა), საერთაშორისო ოსტატები ცუ მიან ლი (ჩინეთი), ანჰელ მარკინი (ესპანეთი) და კარლოს პარტოსი (შვეიცარია), რომლებიც უბრძოლველად არავისთან დაყრიან ფარხმალს. გულშემატკივრების სურვილიც ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონს ღირსეულთა შორის ღირსეული შეხვდეს.

ბილის ტურნირიც ივლისის ბოლომდე გასტანს.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲭᲐᲑᲣᲙ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲨᲘ ჩატარდა ჭაბუკ (1968–1969 წ.წ.) კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზა თბილისის „დინამომ", რომელიც მთლიანად 1969 წელს დაბადებული ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული. მათ დაამარცხეს ნიკოლაევის პირველი გუნდი (72:64), ამავე ქალაქის „ბურევესტნიკი" (102:27), ბელორუსიის კოლექტივი (77:45), ნიკოლაევის მეორე გუნდი (104:56) და თბილისის II კოლექტივი (81:59) და პირველი ადგილი დაიკავეს. სამწუხაროდ, წლევანდელ ასპარეზობაში ძლიერ გუნდებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ტურნირში გამარჯვებული თბილისის „დინამოს" ჭაბუკთა კოლექტივი. პირველ რიგში(მარცხნიდან): გიორგი ალაშვილი, გიორგი წურწუმია, მიხეილ ხუხაშვილი, ლევან ინწკირველი და გელა ქამუშაძე. დგანან — რევაზ მერმანიშვილი, ირაკლი დვალი, მამუკა ცაგარეიშვილი, ლევან გეგეშიძე, ანდრო ხაუვარელიძე, არჩილ ჩხიკვაძე და მწვრთნელი ლევან ინწკირველი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ᲡᲐᲑᲐᲢᲘᲜᲘ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

15 წლის არგენტინელი გოგონა გაბრიელა საბატინი მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. საფრანგეთის ღია ჩემპიონატში საბატინიმ ნახევარფინალამდე მიაღწია. ჩოგბურთის ექსპერტების აზრით, ასეთი წარმატება 15 წლის ასაკში ჯერ არც ერთ ჩოგბურთელს არ მოუპოვებია. საბატინი მარცხენა მხრიდან თითქმის უშეცდომოდ თამაშობს, მაგრამ პირველი მოწოდება არ უვარგა. მწვრნელი პატრიციო აპეი ექსპერტების შეფასებას მთლიანად იზიარებს. იგი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელი ამ ნაკლს ორ-სამ წელიწადში გამოასწორებს, მერე კი მსოფლიოში ველარავინ აჯობებს.

ᲬᲝᲜᲐᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ

ბულგარელმა ძალოსანმა ნენო ტერზიისკიმ ახალ წონით კატეგორიაში გადასვლის შემდეგაც შეინარჩუნა ფორმა და კატოვიცეში ევროპის ჩემპიონის სახელი თითქმის უბრძოლველად მოიპოვა, რასაც სპეციალისტები ტერზიისკის ფენომენალური მონაცემებით ხსნიან.

ახლა ბულგარელი ძალოსანი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ ტურნირში მას ისევ ძველ მეტოქეებთან მოუხდება შებრძოლება, მაგრამ თავად სპორტსმენის აზრით, ამჯერად ოქსენ მირზოიანის დამარცხება უფრო ძნელი იქნება. მირზოიანმა კატოვიცეში კარგი გაკვეთილი მიიღო და დარწმუნებული ვარ რევანშის აღებას შეეცდება— თქვა მან კორესპონდენტებთან საუბარში.

ბულგარეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის აზრით, ტერზიისკის შეუძლია სარეკორდო შედეგი აჩვენოს.

— ნენომ ამ წონაში უკვე „მოიკიდა ფეხი", „აკლიმატიზაციამ" კარგად ჩაიარა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენი მზად არის ახალი სირთულეების დასაძლევად.

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ

აზიისა და აფრიკის ქვეყნებში VI პანარაბული თამაშებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. მზად არის თამაშების ორგანიზატორი ქვეყანა მაროკოც. პანარაბული თამაშები, როგორც ცნობილია, ჩატარდება 2-16 აგვისტოს რაბათში, კასაბლანკაში და მაროკოს სხვა ქალაქებში.

თამაშებში, წინასწარი ვარაუდით, 3 ათასზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრებები გაიმართება სპორტის 18 სახეობაში. ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ ინტერესს მძლეოსანთა, ძალოსანთა, ფეხბურთელთა, მოკრივეთა და მოჭიდავეთა ტურნირებისადმი იჩენს. ფინალურ შეჯიბრებებზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაიყიდა.

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲐᲕᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ

უცხოეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩინეთის ფეხბურთელთა ნაკრები დაიშალა. ამ უკიდურეს ღონისძიებას ეროვნულმა ფედერაციამ ჰონკონგის გუნდთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მარცხის (1:2) შემდეგ მიმართა. ჩინეთი ავტომატურად გამოეთიშა მექსიკის ჩემპიონატის საგზურისათვის მებრძოლ გუნდებს.

ქვეყანაში ახალი ნაკრების შედგენისათვის მზადების კამპანია დაიწყო, მაგრამ სპეციალისტებმა და დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საერთო აზრი ვერ გამონახეს. კამათს უმთავრესად მწვრთნელის დანიშვნის საკითხი იწვევს. ფეხბურთის ფედერაციას რომელიმე უცხოელი სპეციალისტის მოწვევა აქვს განზრახული, რასაც ოფიციალური ორგანიზაციები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. დრო გადის, ახალი ნაკრების დაკომპლექტებას კი ვერ იქნა და ვერ ახერხებენ.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲔᲑᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. **საქართველოს ჩემპიონატი. 30 ივნისი.** მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი" (თბილისი).** დასაწყისი 17 ს. ასკ-ს სტადიონი. **„იმედი" (თბილისი) — „არაგვი" (დუშეთი).** 19. ს.



ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 30 ივნისი. „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20** (1), ჯანმრთელი რომ იყო — **19.45** (1), სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — **20.30** (2), სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — **21.30** (2), საფეხბურთო მიმოხილვა — **23.35** (1).

1 ივლისი. დილის ტანვარჯიში — **10.00** (2), საფეხბურთო მიმოხილვა — **10.35** (1).

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲝ. 30 ივნისი. სპორტული დღიური — **23.40.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. **30 ივნისი.** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში — **11.45,** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — **21.30,** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.35.**

1 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (თბილისი), 30 ივნისის შეხვედრის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი — **22.35,** „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) — 30 ივნისის შეხვედრის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი — **23.35.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 30 ივნისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი"—**14,30,** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (თბილისი) — **20.30** (II ნახევარი), „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) — **21.15** (II ნახევარი).

რედაქტორის მოადგილე
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი-96 ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. უე 06234